

მონაწილე მონაწილე გულია



გვესაუბრება მცხეთის წმინდა იოანე-თორნიკეს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენია ეფემია (ჩირგაძე)**:

-ყოველთვის ხომ არ გვაქვს მატერიალური შესაძლებლობა სიკეთის საკეთებლად. ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ?

-როცა მონაწილეებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში არ გვაქვს მხოლოდ ქველის საქმეები, არამედ აქ უპირველესად ვგულისხმობთ მონაწილეს, როგორც სულის განსაკუთრებულ მდგმარეობას. მონაწილეა ეს არის თანაგრძნობა და თანაღმობა, ესაა გულის მისწრაფება, უყვარდეს მოყვასი საკუთარი თავით და ზრუნავდეს და შეეწოდეს მას. მონაწილეა მოყვარული გულია. მამები განასხვავებენ ნივთიერი და სულიერი მონაწილეების სახეებს. სულიერი მონაწილეების უნარი ადვილად არ ეძლევა ადამიანს.

თანდათანობით ფორმირდება და ვითარდება იგი იმ ადამიანის სულში, რომელიც ქველის საქმეში წარემატება. სულიერი მოწყალების ერთ-ერთ და უპირველეს საფეხურზე მიუთითებს აბბა დოროთე, როცა გვირჩევს, “არ გაუკეთო მოყვასს ბოროტება, ძვირი არ უთხრა, არ დააბეზლო, არც შეურაცხყო, სიტყვით მოიმაღლიერე, უთანაგრძნე და ასე თანდათან გაუკეთებ მას სიკეთეს, ასე ნელ-ნელა ახვალ თითოეულ საფეხურზე და ღვთის შეწევნით შეძლებ მოყვასის საკუთარი თავით შეყვარებას”.

წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი უფრო მაღალ საფეხურზე აკეთებს მინიშნებას. “მოწყალება ღმერთამდე მხოლოდ მათ კი არ მიიყვანს, ვინც ნივთიერს გასცემს, არამედ მათაც, ვინც არ განიკითხავს მოყვასს მისი ნაკლოვანებების გამო, ვინც პატიობს წყენასა და შეურაცხყოფას, ვინც თავის მანყევარს ლოცავს და ვინც მტერს კეთილს უყოფს”. ხედავთ სულიერი მოწყალების რა სიმაღლეზეა აქ მითითებული?! მაკარი დიდს, “მინიერ ღმერთს” ეძახდნენ მისი უკიდურესად თანამგრძნობი და მიმტევებელი გულის გამო. ბევრმა მოყვასისადმი სიბრაულის გრძნობით აღძრული მოწყალების შედეგად თავად ღმერთი იხილა.

მონასტრისკენ მიმავალ ბერ მარტინეს გზად შიმშილისა და დაღლილობისაგან დაუძღურებული გლახაკი შეხვდა. მარტინეს შეეცოდა იგი, მოიხსნა მანტია, მიწაზე დააფინა და ზედ გლახაკი დასვა, მერე კი ზურგზე მოიგდო და მონასტრისკენ გაეშურა. სულიერი ჭვრეტის მაღლით სავსე მოძღვარმა, როგორც კი დაინახა ბერი, აღტაცებულმა საძმოს მოუხმო: “ჩქარა შვილებო, ჩქარა, გახსენით მონასტრის კარიბჭე!

მარტირი მოდის, მოდის და თან ღმერთი მოყავს!” გალავანთან მისულმა ბერმა მოიხსნა ტვირთი მხრებიდან და როცა გლახაკისთვის ხელის შესაშველებლად მიბრუნდა, მანტია ცარიელი აღმოჩნდა და მყისიერად დაინახა, უფალი იესო ქრისტე, რომელიც ზეცად მაღლდებოდა. და მოესმა ხმა: “ო, მარტირი შენ არ უგულვებელმყავი მე მიწაზე, არც მე უარყოფ ზეცაში, შენ მე მოწყალე თვალთ მომხედე, მეც შეგიწყალებ შენ საუკუნოდ”.

არაფერი გააჩნდა მატერიალური ბერს, მას მხოლოდ თანამგრძნობი გული ჰქონდა და იხილა ღმერთი. არც ტაძარში სალოცავად მისულ მოციქულებს პეტრეს და იოანეს ებადათ რამე, როცა დედის მუცლითგან მკელობელი “ითხოვდა” ქველის საქმესა მათგან”. და როგორი იყო წმინდა პეტრეს საპასუხო რეაქცია?! “მოიხილე ჩვენდა. ვერცხლი და ოქრო არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, გცეთ შენ სახელითა იესუ ქრისტე ნაზარეტელისათა: აღდეგ და ვიდოდე!” და განკურნა დედის მუცლითგან მკელობელი გლახაკი.

არ გააჩნდათ მოციქულებს მატერიალური სახსარი, მაგრამ ჰქონდათ გული ქრისტესადმი მხურვალე რწმენით აღსავსე და ამ რწმენის ძალით მოყვასს კურნება მიანიჭეს. ეს ამბავი ღმერთისადმი რწმენისა და მოყვასის სიყვარულის სინთეზის

საოცარი რეზულტატია. ამიტომ, წმინდა ისააკ ასურის რჩევისამებრ: “დაე, ყოველთვის გადაგწონოს მოწყალებამ, ვიდრე თვით შენში არ შეიგრძნობ ისეთ მოწყალებას, როგორც აქვს ღმერთს ამ სოფლისადმი. და, დაე, ჩვენთვის ჩვენი გულმოწყალება იყოს ის სარკე, რომლის მეშვეობითაც საკუთარ თავში დავინახავთ იმ მსგავსებას, რომელიც საღმრთო ბუნებას და არსს ახასიათებს”.

— karibche.ambebi.ge